ნამცხვარი, ძორწინება და კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისია: სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი

მარიამ გაგოშიძე,* ნინო მუხადგვერდელი**

I. შესავალი

„ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მხრივ, რომ თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი ან გონებაგახსნილი იყოს, საბოლოოდ ინდივიდები მაინც იმდენადაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ვინმემ თქვას, მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნებაო.“[1] „თანასწორობა რეალურ სინამდვილეში არ არსებობს – სრული თანასწორობის ცნება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მხოლოდ ჰიპოთეტურად, რეალური სინამდვილისაგან აბსტრაჰირების გზით.“[2] კანონის წინაშე თანასწორობა, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა, თუმცა საინტერესოა რა ხდება მაშინ, როდესაც ორი ინდივიდის კანონით მინიჭებული უფლება ემიჯნება ერთმანეთს? არის სამართალი იმდენად სრულყოფილი, რომ შეძლოს ყველას უფლება ერთდოულად დაიცვას?

მოცემული სასამართლო პრეცედენტი ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა. უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისიის გადაწყვეტილება და მოსამართლეებმა შექმნეს პრეცედენტი, რომლის მიხედვითაც, სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებით დაიცვეს კონდიტერის უფლება, უარი

---

* სამართლის მაგისტრი.

** სამართლის მაგისტრი.

[1] ჰობსი თ., ლევიათანი, გია ნოდიას თარგმანი, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი I, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014, 219.

[2] ხუბუა გ.,სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 75.

ეთქვა ერთნაირსქესიანი წყვილისათვის საქორწილო ტორტის დამზადებაზე.

II. ფაქტობრივი გარემოებები და საქმის საპროცესო ისტორია

2012 წლის ივლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კოლორადოს შტატში ჩარლი კრეიგი და დევიდ მულინსი მივიდნენ საკონდიტროში თავიანთი ქორწილისათვის ტორტის შესაკვეთად. მას შემდეგ, რაც ერთნაირსქესიანი წყვილი გაესაუბრა საკონ-დიტროს მფლობელს, მათ მილერმა უარი განუცხადა საქორწილო ტორტის დამზადებაზე. მილერის განმარტებით, გეი წყვილისათვის ტორტის დამზადება ეწინააღმდეგებოდა მის რელიგიურ რწმენასა და შეხედულებებს, მიუხედავად ამისა, მზად იყო, წყვილისათვის მიეყიდა სხვა ნებისმიერი საკონდიტრო ნაწარმი.[3]

წყვილმა მიიჩნია, რომ იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი და სარჩელი შეიტანეს კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომი-სიაში. განხილვის შედეგად, კომისიამ დაადგინა, რომ მილერმა დაარღვია კოლორადოს ანტიდისკრიმინაციული აქტი. გადაწყვე-ტილების მიხედვით, ვინაიდან მილერის საკონდიტრო იყო დაწესე-ბულება, რომელიც საზოგადოებას ემსახურება, იგი ვალდებული იყო, დამორჩილებოდა კოლორადოს ანტიდისკრიმინაციულ აქტს. აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვისას, მილერმა საკუთარი სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე მიუთითა, რომელ-საც მას კონსტიტუციის პირველი შესწორება ანიჭებდა. კომისიამ ფილიპსის არგუმენტი შეუსაბამოდ მიიჩნია და ჰომოსექსუალი წყვილისათვის საქორწინო ტორტის დამზადება დააკისრა. ამას-თან, მილერს დაევალა, გადაემზადებინა მის საკონდიტროში მომუშავე პერსონალი, რათა სამომავლოდ დაწესებულებაში აღარ შეზღუდულიყო სექსუალურ უმცირესობათა უფლებები და მათაც ისე მომსახურებოდნენ, როგორც სხვა წყვილებს. გარდა ამისა, კომისიის გადაწყვეტილებით, ფილიპსი ვალდებული იყო, ორი

[3] Masterpiece Cakeshop, Ltd. v. Colorado Civil Rights Commission, 584 U.S. (2018).

წლის განმავლობაში შეეტყობინებინა კომისიისთვის ყველა უარყოფილი შეკვეთის შესახებ, მიუხედავად მისი მიზეზისა.[4]

საკონდიტროს მფლობელმა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება გაასაჩივრა კოლორადოს სააპელაციო სასამართლოში. საკუთარ არგუმენტაციაში ფილიპსმა მიუთითა, რომ ტორტის დამზადებაზე უარის თქმის მიზეზი წყვილის სექსუალური ორიენტაცია არ ყოფილა. მილერის უარი ეფუძნებოდა უშუალოდ მის მიერ ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ წინააღმდეგობას. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივარში განმარტა, რომ უსამართლოა დაეკისროს ერთნაირსქესიანთა ქორწილისათვის ტორტის დამზადება, ვინაიდან ასეთი ვალდებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველი შესწორებით განმტკიცებულ სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებას. პირველი შესწორება სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მთავრობას არ შეუძლია მოქალაქეებს მიუთითოს – „რა უნდა თქვან“.[5]

კოლორადოს სააპელაციო სასამართლომ პირის მიერ იდეის გამოხატვა ქმედებად და კონსტიტუციაში მითითებულ „სიტყვად“ არ მიიჩნია. სასამართლომ აღნიშნა, რომ ტორტის დამზადება იყო ქმედება და ვერ ჩაითვლებოდა „სიტყვის წარმოთქმად“, შესაბამისად, მილერი ვერ იქნებოდა დაცული კონსტიტუციის პირველი შესწორებით.[6]

საბოლოოდ, მილერმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც 2018 წლის 4 ივნისს გააუქმა კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისიის გადაწყვეტილება. სასამართლოს მოსაზრება მოსამართლე კენედიმ ჩამოაყალიბა. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ფილიპსს, როგორც საზოგადოების მომსახურე ბიზნესის მფლობელს, უფლება აქვს ისარგებლოს საკუთარი რელიგიური თავისუფლებით მხოლოდ იმ ფარგლებში, რა

[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.

ფარგლებსაც მოქმედი კანონმდებლობა აწესებს.[7] გადაწყვეტილებაში მოსამართლე კენედის პოზიცია განამტკიცებდა იმ ფაქტს, რომ კომისიის მიერ ფილიპსის საქმის განხილვისას აშკარა იყო კომისიის წევრთა მტრული დამოკიდებულება ფილიპსის რელიგიური შეხედულებების მიმართ. კომისიაში საქმის განხილვისას, ფილიპსის ქმედება შეადარეს მონობასა და ჰოლოკოსტს. მოსამართლე კენედიმ აღნიშნა, რომ საქმის მიმართ ამგვარი მიდგომა შეუფერებელია კომისიისათვის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსლება, აღასრულოს კოლორადოს ანტიდისკრიმინაციული კანონი სამართლიანად და მიუკერძოებლად. სასამართლო გადაწყვეტილებაში, ასევე მითითებული იყო სხვა ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ასახავდნენ კომისიის მტრულ და უარყოფით დამოკიდებულებას რელიგიური რწმენის მიმართ.[8]

III. გადაწყვეტილების მოტივაცია და სამართლებრივი მტკიცება

მოსამართლეთა ხმები შვიდი ორის წინააღმდეგ გადანაწილდა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ კომისიამ დაარღვია დათქმა რწმენის თავისუფალი გამოხატვის შესახებ და საქმე მილერის მიმართ აშკარა მტრული, უპატივცემულო დამოკიდებულების ფონზე განიხილა, რითაც პირის რელიგიური მრწამსი შეურაცხყო. მოსამართლე კენედიმ აღნიშნა, რომ „...მსგავსი დავები უნდა გადაწყდეს ტოლერანტულად, რელიგიური მრწამსის შეუსაბამო უპატივცემულობისა და ასევე, ჰომოსექსუალი პირების შეურაცხყოფის გარეშე მაშინ, როდესაც ისინი ეძებენ საქონელსა და მომსახურეობას ღია ბაზარზე“[9].

მოსამართლეებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისიის დასკვნაში მოყვანილმა პარალელებმა, – კონდიტერის ქმედება გათანაბრებული იყო

[7] <https://www.nytimes.com/2018/06/04/us/politics/supreme-court-sides-with-baker-who-turned-away-gay-couple.html> [12.05.2018].

[8] Masterpiece Cakeshop, Ltd. v. Colorado Civil Rights Commission, 584 U.S. (2018).

[9] იქვე.

ჰოლოკოსტსა და მონობასთან. ამავდროულად, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ რელიგია ისტორიის მანძილზე დისკრიმინაციული იყო.[10] ფუნქციურად კოლორადოს სამოქალაქო კომისია ორგანოა, რომელმაც ნეიტრალურად და მიუკერძოებლად უნდა განიხილოს მის წარმოებაში არსებული დავები. უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიამ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება ვერ შეასრულა, პირიქით, მათ შეურაცხყვეს მილერის რელიგიური მრწამსი, რაც სასართლომ დაუშვებლად მიიჩნია.[11]

მოსამართლე კენედიმ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კომისიის დამოკიდებულებამ და გადაწყვეტილებამ ფილიპსის საქმესთან დაკავშირებით დაარღვია კონსტიტუციის პირველი შესწორება.[12] გადაწყვეტილებაში საქმე შეფასებულია, როგორც ორი მნიშვნელოვანი პრინციპის გაერთიანება. პირველი პრინციპი არის სახელმწიფოს მოვალეობა, დაიცვას ჰომოსექსუალი წყვილების უფლებები, რომლებსაც სურთ დაქორწინდნენ, თუმცა ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, საქონლისა თუ მომსახურების ძიების დროს. რაც შეეხება მეორე პრინციპს, ის გულისხმობს პირის უფლებას, ისარგებლოს კონსტიტუციის პირველი შესწორებით განმტკიცებული ფუნდამეტური უფლებებით.[13] მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია ჰომოსექსუალი წყვილის სასარგებლოდ, მან საკუთარი გადაწყვეტილებით არ შელახა მათი უფლებები და თავისუფლებები. უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ აშშ-ის საზოგადოება მივიდა იმ ეტაპზე, როცა ერთნაირსქესიან წყვილთა უფლებები აღიარებულია და ამავდროულად, აცნობიერებენ ფაქტს, რომლის თანახმად, ჰომოსექსუალები, საკუთარი ორიენტაციის გამო არ შეიძლება მიჩნეულ იყვნენ

[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] “It forbids Congress from both promoting one religion over others and also restricting an individual’s religious practices.” U.S. Const. amend. I.
[13] Masterpiece Cakeshop, Ltd. v. Colorado Civil Rights Commission, 584 U.S. (2018)

საზოგადოებისათვის მიუღებელ ნაწილად. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ასევე აღინიშნა სქესობრივი უმცირესობებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების უფლებრივი თანასწორობა კანონის წინაშე. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხს საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასამართლოში.[14]

მოსამართლე გორსიჩმა ჩამოაყალიბა მოსაზრება ფილიპსის ქმედებაში ცოდნისა და განზრახვის ასპექტების მნიშვნელობის შესახებ. მისი შეფასებით, ფილიპსს არ განუზრახავს ერთნაირსქესიანი წყვილის დისკრიმინაცია, მან უბრალოდ განარიდა თავი ჰომოსექსუალი წყვილის ქორწილში მონაწილეობას, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, ეს მის რწმენას ეწინააღმდეგებოდა.[15] მოსამართლის მტკიცებით, ფილიპსის მიერ დამზადებული ტორტი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ქვეშ ექცეოდა. ტორტის დამზადება იყო ზუსტად ისეთივე სიმბოლური გზავნილი, როგორიცაა ემბლემა ან დროშა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ფილიპსს არ განუცხადებია უარი ტორტის დამზადებაზე, მან უარი თქვა დაემზადებინა ისეთი ტორტი, რომელიც აღნიშნავდა ერთნაირსქესიანთა გაერთიანებას/ქორწინებას, რაც ფილიპსის რელიგიას ეწინააღმდეგებოდა.[16]

მოსამართლე გორსიჩმა საკმაოდ მკაფიოდ განმარტა სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მნიშვნელობა და მასშტაბი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან აღნიშნა, რომ ამერიკული სასამართლოსთვის უდავოდ თანაბარმნიშვნელოვანია გეი წყვილების უფლებები კონსტიტუციით დადგენილ სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად და ანტიდისკრიმინაციული აქტიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. თუმცა მან ასევე განმარტა, რომ ორმაგი სტანდარტები სასამართლოსათვის მიუღებელია და არ ემსახურება ანტიდისკრიმინაციულ აქტსა თუ აშშ-ის კონსტიტუ-

---

[14]<https://www.acslaw.org/analysis/acs-supreme-court-review/masterpiece-cakeshop-v-colorado-civil-rights-commission-what-was-and-wasnt-decided/> [05.05.2019]

[15] იქვე.

[16] იქვე.

ციას. დაუშვებელია ჰომოსექსუალი წყვილების უფლებების დაცვა პირის რელიგიური მრწამსისა და გამოხატვის თავისუფლების შეურაცხყოფის ხარჯზე.[17] მოსამართლემ აღნიშნა, რომ „პოპულარული რელიგიური შეხედულებები დასაცავად მარტივია. სწორედ არაპოპულარული რელიგიური შეხედულებების დაცვით ვამტკიცებთ ამ ქვეყნის ვალდებულებას, ემსახუროს რელიგიურ თავისუფლებას, როგორც თავშესაფარი"[18].

გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას, ასევე, აღსანიშნავია ორი ლიბერალი მოსამართლის აზრი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საქმის გახილვაში. რუთ ბეიდერ გინსბურგი და სონია სოტომეიორი არ დაეთანხმნენ უმრავლესობის გადაწყვეტილებას. მათ აღნიშნეს, რომ კომისიის დასკვნიდან მოყვანილი ერთი წინადადება ვერ გაამართლებდა მილერის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას.[19]

IV. სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი

„სამართალი არ არის ღირებულება – სამართალი მხოლოდ იურიდიულად განამტკიცებს ამა თუ იმ ღირებულებას."[20] „სამართლის შემფარდებელს, როგორც წესი, უხდება რამდენიმე ღირებულების შეფასება, რომლის დროსაც უპირატესობა უნდა მიანიჭოს კანონით დაცულ რომელიმე ფასეულობას."[21] განსახილველ შემთხვევაში, თანასწორობის პრინციპი და რწმენის თავისუფლება კვეთდა ერთმანეთს. სასამართლო ვალდებული იყო, მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც გაარკვევდა, თუ როგორ უნდა

---

17 <https://www.supremecourt.gov/opinions/17pdf/16-111_j4el.pdf> [12.05.2019]

18 "Popular religious views are easy enough to defend. It is in protecting unpopular religious beliefs that we prove this country's commitment to serving as a refuge for religious freedom", იხ., Masterpiece Cakeshop, Ltd. v. Colorado Civil Rights Commission, 584 U.S. (2018).

19 იქვე.

20 ხუბუა გ.,სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 91.

21 იქვე, 92.

მორიგებულიყვნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული უფლებები.[22] საბოლოოდ, მიღებული გადაწყვეტილება საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა როგორც კოლორადოს, ისე მთელი შეერთებული შტატებისთვის.

თანამედროვე ეპოქაში, საზოგადოებაში უმცირესობების უფლებები მეტად პრიორიტეტული გახდა და მეტი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოსა თუ სამოქალაქო სექტორის მხრიდან. სწორედ ამიტომ საზოგადოებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. აღსანიშნავია, რომ მოცემული გადაწყვეტილება, თავდაპირველად, განხილული იქნა, როგორც ჰომოსექსუალი წყვილის დისკრიმინაცია, მათი ორიენტაციის გამო. უმაღლესმა სასამართლომ კი ყურადღება გადაიტანა კონდიტერის უფლებების დარღვევაზე. სასამართლომ გააკრიტიკა სამოქალაქო კომისიის მიერ მიღებული დასკვნა და მისი საქმისადმი მიდგომა.

მოცემულ საქმეში წამოჭრილი პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ საკმაოდ მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. აღნიშნული საქმე შეფასდა, როგორც სამართლებრივად ვიწრო ფარგლებში განხილული. გარდა ამისა, კრიტიკის საგანი გახდა მოსამართლე კენედის მიერ „რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულების“ მასშტაბების გაფართოება. აღნიშნული გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც საფრთხე ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიისათვის.[23]

ჰომოსექსუალი პირების უფლებადამცველებისაგან აღნიშნულ გადაწყვეტილებას მწვავე რეაქცია მოჰყვა. მათი მოსაზრებით, მოცემული პრეცედენტი იქნება წამახალისებელი მაგალითი მათთვის, ვისაც საკუთარი საქონლის ან მომსახურების მიყიდვა არ

---

[22] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი მ. ბაბუხადიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 74.

[23]<https://harvardcrcl.org/masterpiece-cakeshop-a-hostile-interpretation-of-the-colorado-civil-rights-commission/> [18.07.2019].

სურს ჰომოსექსუალი პირებისთვის.[24] გარდა ამისა, დგება იმის საფრთხეც, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სამომხმარებლო სივრცეში მყოფ პირებს მისცემს უფლებასა და პრივილეგიას, უარი განუცხადონ მომსახურებაზე არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირებს, საკუთარი აღმსარებლობიდან გამომდინარე. მსგავსი ქმედება კი წახალისებული იქნება სწორედ მოცემული გადაწყვეტილების საფუძველზე.[25]

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა. სასამართლომ მილერის მოქმედება დისკრიმინაციულად არ მიიჩნია. გარდა ამისა, განმარტა, რომ კონდიტერისათვის ტორტის დამზადების დავალება სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებას დაარღვევდა. გადაწყვეტილებამ შეცვალა კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისიისა და სააპელაციო სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არა მხოლოდ არსებითად არღვევდა მილერის უფლებებს, არამედ გაზვიადებულად „ადანაშაულებდა“ მას ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციაში. ყოველი მსგავსი შემთხვევა მოითხოვს მიუკერძოებელ შეფასებას. აღსანიშნავია, რომ ეპოქაში, როცა უმცირესობათა უფლებების დაცვა, შეიძლება ითქვას, გამორჩეულად პრიორიტეტულია, სასამართლოს მსგავსი შინაარსის გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო.

„კანონმდებლობა, როგორც მთლიანობა, კანონსა და სამართლებრივ უფლებებს სრულად ახორციელებს.“[26] მიუხედავად ამისა, უფლებების ეპოქაში ხშირად ემიჯნება ერთი უფლება მეორეს. მართლწესრიგი არაა იმდენად სრულყოფილი, რომ ყველა სოციალური ურთიერთობის რეგულირება მოახდინოს. სწორედ ამიტომ, მოსამართლე მიმართავს ნორმის Contra Legem განმარ-

---

[24]<https://www.nytimes.com/2018/06/04/us/politics/supreme-court-sides-with-baker-who-turned-away-gay-couple.html> [19.07.2019].

[25] Winker M., What's in a Cake? A Note on Masterpiece Cakeshop Ltd. v. Colorado Civil Rights Commission, HEC Paris Research Paper No. LAW-2019-1328. 4-5.

[26] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი მ. ბაბუხადიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 70.

ტებას[27], რომელიც „იძლევა სოციალურ სინამდვილეში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებისა და მათზე დროული რეაგირების შესაძლებლობას“[28]. „სამართალი სამართლიანობისკენ სწრაფ-ვაა“[29], შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქმის განხილვისას სასამარ-თლომ დაიცვას ბალანსი დაპირისპირებულ უფლებებათა განსჯი-სას. რაც გულისხმობს, მათი როგორც, თანაბრადმნიშვნელოვანი და ღირებული სამართლებრივი დაცვის ობიექტებთა შეფასებას.[30] განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიზანი არ ყოფილა სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციის გამართლება, პირიქით, მოსამართლემ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კომი-სიის აგრესიული და უპატივცემულო დამოკიდებულება რომ არა, გადაწყვეტილებას ჰომოსექსუალი წყვილის სასარგებლოდ გამოიტანდა.[31]

მოცემულ გადაწყვეტილებაში, სასამართლოს მიზანი ფილიპსის რელიგიის თავისუფლების დაცვა და ამასთან, ჰომოსექსუალი პირების უფლებათა და თავისუფლებათა შელახვის დაუშვებლობის განმარტება იყო.[32] აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული სახელმწი-ფოს ფუძემდებლური პრინციპებიდან გამომდინარე, თანაბრად მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც უმცირესობის, ისე უმრავლე-სობის უფლებები, ურთიერთშეზღუდვისა და დისკრიმინაციის გარეშე.

V. დასკვნა

გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ეწინააღმდეგება საზოგადო-ებაში „გაბატონებულ“ უმცირესობის უფლებებს. მიუხედავად დიდი

---

[27] ვრცლად იხ., ხუბუა გ., განმარტება Contra Legem, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018, 1.

[28] იქვე.

[29] რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012, 248.

[30] იქვე.

[31] Masterpiece Cakeshop, Ltd. v. Colorado Civil Rights Commission, 584 U.S. (2018)

[32] Berg T.C., Masterpiece Cakeshop: A Romer for Religious Objectors? Cato Supreme Court Review, University of St. Thomas (Minnesota) Legal Studies Research Paper, No.19-16, 2018, 160.

კრიტიკისა, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან არ შეიძლება უმრავლესობის უფლებების გვერდის ავლით დაცული იქნეს უმცირესობის უფლებები და პირიქით.

სოციალურ ურთიერთობებში, სამართალთან ერთად მორალური ნორმებიც მოქმედებს. პოზიტიური სამართლისაგან განსხვავებით, „საზოგადოებრივი მორალი დროის შესაბამისად იცვლება“[33]. უმცირესობის უფლებათა დაცვა, ლიბერალიზმი თანამედროვეობის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. სამართალი არ ემიჯნება მორალს, პოლიტიკასა თუ სოციუმს, შესაბამისად, მიესადაგება იმ სოციალურ რეალობას, რაც კონკრეტულ შემთხვევაშია.[34]

„ძირითადი უფლებები, არსებითად თანაბარღირებულია. ამა თუ იმ უფლებას შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს სიტუაციის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.“[35] თანამედროვე ეპოქისათვის, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებული და მნიშვნელოვანია.

---

[33] ხუბუა გ.,სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 61.

[34] უექსი რ., სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი მ. ბაბუხადიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 56.

[35] იქვე.